სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/17

ქ. თბილისი 29 მარტი 2021

სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის მიმდებარე ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით იჯარა/პრივატიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის 26 მარტის №0000289783 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 მარტის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ დიდ ჯიხაიშში მდებარე 171 კვ.მ. და 187 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ N34.02.50.423; ს/კ N34.02.50.421) პრივატიზაციის პროცესში ჩართვასა და გასხვისებაზე ითქვას უარი, რადგან მიმდინარეობს აღნიშნული კოლეჯის რეაბილიტაცია. ამასთანავე, 2021 წლის 28 იანვარს დაყენებულია მოთხოვნა აღნიშნული ნაკვეთების უნივერსიტეტისათვის გადმოცემის შესახებ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**